ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №39/ბ

ქ. თბილისი „31" „01" 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და მეორე მხრივ შემდგომში "მიმწოდებელი", შპს „ექსიმ ტრაფიკი" დირექტორის საბირ ახმედოვის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2018 წლის ასიგნებების ფარგლებში, საგზაო ნიშნების (CPV კოდი 34992200) შესყიდვაზე, და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს „შემსყიდველს" საქონელი 150 (ას ორმოცდაათი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1.

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
ნიშანი „სველი იატაკი"	2 ცალი	35 ლარი	70 ლარი
საგზაო ბოძი	1 ცალი	60 ლარი	60 ლარი
საგზაო ნიშანი	1 ცალი	20 ლარი	20 ლარი
			სულ ჯამი: 150 ლარი

4. საქონლის მოწოდების პირობები და მოწოდების ადგილი

4.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. მოწოდების ადგილი: ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №140.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე, სამ ეგზემპლარად შედგენილი მიღება–ჩაბარების (დანართი№1) აქტით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშეშშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მანუჩარ შეროზია.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 15 მარტის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან", ხოლო ორი _ ,,შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“	"მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.№144 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	შპს ,,ექსიმ ტრაფიკი" ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №140 საიდენტიფიკაციო კოდი №402047218 ს.ს. ,,თი-ბი-სი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში GE43TB7357936080100005
დავით სერგეენკო მინისტრი	საბირ ახმედოვი დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

გ. გიორგობიანი

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

მ. შეროზია

ბ. პატარაია

ბემს: ა. მამალაძე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------
(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2018 წლის „ ---------“ „ ---------- “ № --------- ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში შესყიდული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა ----------
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	**ჩააბარა**
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „31“ „01“ 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერინი, ვადასტურებთ, რომ შპს „ექსიმ ტრაფიკი”-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. სერგეენკო

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

გ. გიორგობიანი

ი. აბრამიშვილი

ა. მამალაძე

მ. შეროზია